MES 0 20 0000694806

17/08/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 31.07.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:45სთ
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (1-ლი - მე-5 საკითხები)
სხდომის თავმჯდომარე: თამარ ტუფინაშვილი (მე-6 საკითხი)
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკა თიკანიშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
4. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
5. **მანანა კევლიშვილი -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
6. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;

7. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ნინო დობორჯგინიძე -** სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
9. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - სხდომის თავმჯდომარე;
10. **ირმა წერეთელი -** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საოგადოების (GIZ) მრჩეველი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
4	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირინე კვაჭაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	ლელა მასხულია	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი	I
4	მარინე მათიაშვილი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	ნათია გოცაძე	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	რექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი	II
6	მაკო ჯაოშვილი	შპს - მართვისა და კომუნიკაციის	ვიცე-რექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი	II

		საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“		
7	ნინო არჯევანიძე	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი	II
8	გიორგი ჭანტურია	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	კანცლერი	II
9	ნინო ხიდიშელი	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	კვლევითი საქმიანობის ცენტრის ხელმძღვანელი	II
10	ნათია გოგებაშვილი	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	საერთაშორისო ურთიერთობების კორდინატორი	II
11	სოფო ვასაძე	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	სამეცნიერო კვლევების კორდინატორი	II
12	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
13	დავით თარხნიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	III
14	ლარს დროსლერი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	III
15	ზურაბ ჯავახიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	III
16	ვასილ მეტრეველი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მკვლევარი	III
17	ქეთევან უგრეხელიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მკვლევარი	III
18	ნუგზარ ზაზანაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF)	III
19	ლაშა ძაძამია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	III

20	ნატო სულთანიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაგეგმვის და განვითარების სამსახურის უფროსი	III
21	მიხეილ ფოცხიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	„ ფაუნა ენდ ფლორა ინტერნეშენელის“ პროგრამების ოფიცერი	III
22	ელენე ჟურავლიოვა	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	III
23	სოფიო სახვაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	III
24	გაიოზ ფარცხალაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	IV
25	დარეჯან ჯაში	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, "აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
26	გოჩა ჩავლეიშვილი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
27	საფფეთ ბაირაქთუთან	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	V
28	ნინო ჯოჯუა	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
29	ნათელა დოღონაძე	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	აფილირებული პროფესორი, განათლების მეცნიერების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V
30	ნინო ქათამაძე	შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი და პროგრამის თანახელმძღვანელი	VI

31	ვაჟა ვარდიძე	შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	VI
32	ნინო წიქვაძე	შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის სპეციალისტი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ქეთევან ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ელისო მურვანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თორნიკე გურული	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ნინო შოშიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ლომიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	მამუკა კოტეტიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	ქეთევან თოდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯის“ "საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნების დაცვისა და მეტყევეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;

5. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;

6. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ზემოაღნიშნული დღის წესრიგი.

1.პირველი საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0177 (0186), ვაჟა–ფშაველას გამზირი, 33,
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

აცილება განაცხადა - ეკა ეკალაძემ
თვითაცილების საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ქეთევან ბერიძემ განმარტა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი უნივერსიტეტში შედგა 2020 წლის 25 მაისს, წინასწარ დაგეგმილიდღის წესრიგის მიხედვით.
საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ შედგენილია თსსუს ბაკალავრის დებულების შესაბამისად, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა ეყრდნობა რეაბილიტაციის სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე სტანდარტებს. პროგრამის, თანდართული დოკუმენტაციის განხილვის და ინტერვიუს საფუძველზე შეფასდა პროგრამის ცალკეული სტანდარტი.
ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ პროგრამის მიზანი ნათლადაა ჩამოყალიბებული და სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს. ასევე, დეტალურადაა გაწერილი პროგრამის შედეგების შეფასება, კონკრეტული სასწავლო კურსის, პროგრამის სამიზნე ნიშნულები. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.
სტუდენტებთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ სტუდენტები გრძნობენ მიკუთვნებულობას უნივერსიტეტთან, კმაყოფილები არიან მათთვის შეთავაზებული სერვისებით და ადმინისტრაციის ჩართულობით სასწავლო პროცესში. ისინი მიიჩნევენ, რომ ადმინისტრაცია და პროფესურა მუდმივად ზრუნავს მათზე მორგებული და ორიენტირებული გარემოს შექმნაზე, ითვალისწინებს მათ სურვილებს და ხელს უწყობს დასაქმებაში სტუდენტის სურვილისა და ინტერესის შესაბამისად.
პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ აკადემიურ და მოწვეულ (მათ შორის უცხოელ) პერსონალს გააჩნია სასწავლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, ასევე სასწავლო და კვლევით პროცესში ჩართულია რამდენიმე უცხოელი პროფესორი. პროგრამა უზრუნველყოფილია კარგი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური საშუალებებით. ფაკულტეტის მატერიალ-ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას პროგრამის სასწავლო პროცესი და კვლევითი კომპონენტი განხორციელდეს სრულყოფილად და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. ბიუჯეტი იქმნება საგანმანათლებლო საქმიანობიდან შემოსავლებით. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან დაფინანსება.
ექსპერტებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ახორციელებს შიდა და გარე შეფასებას, მიღებულ შედეგებს კი იყენებს მიმდინარე პროგრამისათვის.
ინგლისურენოვანი პროგრამა ხორციელდებოდა აკრედიტაციის გარეშე მიუხედავად ამისა, პროგრამის მნიშვნელოვანი პროგრესია სასწავლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თვითშფასების ანგარიში, სტუდენტებთან და დამსაქმებელთან გასაუბრება) დარგის თანამედროვე მოთხოვნებისა და პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის მოთხოვნების

შესაბამისად დაიხვეწა და განვითარდა პროგრამის სტრუქტურა, შეიცვალა ქცევითი, სოციალური, ჰუმანიტარული და კლინიკური დისციპლინების ბლოკი დასწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად დაემატა ახალი ბლოკი, ახალი ძირითადი და არჩევითი საგნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანდაცვის სფეროში სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნას და აძლიერებს მართვის უნარ-ჩვევებს.
აღნიშნული ცვლილებები იძლევა პროფესიის უფრო ღრმად შესწავლისა და ცოდნის დიაპაზონის გაზრდის საშუალებას. სარეაბილიტაციო შეფასების გაუმჯობესების მიზნით, დაემატა დისციპლინა „კლინიკური და ფუნქციური შეფასება ფიზიკურ მედიცინაში 1&2“, ხოლო კლინიკური სწავლების გაუმჯობესების მიზნით დისციპლინა „პიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური პრინციპები“.
განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-8 სემესტრის პროგრამის სტრუქტურირება, რომლის დროსაც გათვალისწინებული/გაზიარებული იყო საერთაშორისო პრაქტიკა. სწავლის შედეგების განმტკიცებისა და კომპენტენციების კონსოლიდაციის მიზნით ისწავლება 6 კურსი: ფიზიკური რეაბილიტაცია კარდიოლოგიაში, პულმონოლოგიაში, ნევროლოგიაში, ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში, ბავშვთა და მოზარდთა ასაკში და გერიატრიაში. ამავე კურსებში განისაზღვრა კლინიკური პრაქტიკის განხორციელება. ხაზგასმით აღსანიშნავია, რიგ საგნებში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ფორმატის დანერგვა, რასაც, როგორც გასაუბრებისას გაირკვა, განსაკუთრებით დადებითად აფასებენ სტუდენტები. აღსანიშნავია, რომ პირველი ეტაპის დისციპლინების უმრავლესობა ისწავლება პარალელურ, თემატურად ინტეგრირებულ რეჟიმში და კავშირშია დაავადების ბიოლოგიურ და დიაგნოსტიკურ საფუძვლებთან, ითვალისწინებს კლინიკური უნარ-ჩვევების, მათ შორის დარგობრივი სპეციფიკის მქონე უნარების და სამეცნიერო კვლევის მეთოდების საბაზისო სწავლებას.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ თსსუ-ში ხორციელდება ე.წ. ზამთრის და ზაფხულის სკოლა სტაჟირებები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიარონ პრაქტიკა შესაბამისი მემორანდუმების მქონე კლინიკებში. მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზით და ინტერვიუირებით (სტუდენტები, კურსდამtავრებულები, დამსაქმებლები) იკვეთება უნივერსიტეტის მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, კლინიკურ ბაზებთან. თითოეული მათგანი ასევე ხაზგასმით მიუთითებს კარგ უკუკავშირებზე.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2, და 5.3 შესაბამისობაშია აკრედიტაციია სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რჩევები, კერძოდ:

1. შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გაზრდა;
2. სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცესის შესახებ სტუდენტთა მეტად ინფორმირებულობის ხელშეწყობა;
3. სასწავლო პროცესის მონიტორინგში სილაბუსით დადგენილი მიმდინარეობის კონტროლის მეტი სისრულით ასახვა.
4. სილაბუსებში ავტორისა და განმახორციელებლების მითითება.
5. პროგრამაში ჩართული ყველა პედაგოგის (ავტორის და განმახორციელებლის) პირადი საქმის განახლება

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიური ვითარებიდან გამომდინრე ვიზიტი საკმაოდ ნაყოფიერად და საინტერესოდ წარიმართა.

სხდომის თავმჯდომარმე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ

საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რა პროფესიის წარმომადგენლები იქნებიან აღნიშნული პროგრამის დამთავრების შემდგებ სტუდენტები (ზოგადი რეაბილიტოლოგი). ასევე მან განაცხადა, რომ რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ძირითადი საგნები ისწავლება მეხუთე სემესტრიდან და დაინტერესდა თუ რამდენად დამკვიდრებული და მისღებია აღნიშნული პრაქტიკა.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ზოგადი რეაბილიტოლოგების აღზრდას. საგნებთან მიმართებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველივე სემესტრში ისწვლება საგანი ,,შესავალი სპეციალობაში“ ხოლო შემდეგ ,,შესავალი სპეციალობაში 2“, როდესაც ხდება ცონდისა და პრაქტიკული უნარების შეძენა. აღნიშნული კურსები პრობლემებზე დაფუძნებული სწავლით მიმდინარეობს. პრეკლინიკურ ეტაპზე უნივესიტეტის სტუდენტებს სთავაზობს საბაზისო საგნებს. უშუალოდ კლინიკურ ეტაპზე კი მიმდინარეობს კლინიკური სწავლება. შესაბამისად პრაქტიკული უნარების გაღრმავება პროგრამის მიხედვით ეტაპობრივად მიმდინარეობს.

დიმიტრი გეგენევამ დააზუსტა ექნება თუ არა უნივერსიტეტს ინგლისურენოვანთან ერთად ქართვეულენოვანი პროგრამაც. ასევე იგი დაინტერესდა მობილიზებულია თუ არა უნივერსიტეტი უცხოელი სტუდენტების მიღებისთვის.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფაკულტეტის ფარგლებში ფუნქციონირებს ქართულენოვანი პროგრამაც, რომელმაც აკრედიტაცია 2019 წლის ნომბერში გაიარა. შესაბამისად აკრედიტაციის მიღების შემთხვევში უნივერისტეტში იარსებოს როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი პროგრამაც. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მზადაა, როგორც ყოველთვის მიიღოს უცხოული სტუდენტები.

საბჭოს წევრი თამარ ტუფინაშვილი დაინტერესდა თუ რა პროცედურა არის უცხოული სტუდენების მიღებისთვის, გარდა იმისა, რომ კომისიასთან გადიან გასაუბრებას, აბარებენ თუ არა ქართველი სტუდენტების მსგავსად გამოცდებს. გარდა ამისა, მან რჩევის სახით აღნიშნა, რომ უმჯობესია მოხდეს შეფასების სისტემის დაკორექტირება, რადგან ამჟამად აღარ ხდება შეფასებების პროცენტით გამოსახვა. გარდა ამისა, იგი დაინტერესდა პორტფოლიოების საკითხისა და კონსოლიდაციის ეტაპებით.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისურის ცოდნასთან ერთად მოწმდება უცხოელი სტუდენტების ბიოლოგიისა და ქიმიის შესაბამისი დონეც. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ ექნება შესაბამისის დონის ცოდნა, უნივერსიტეტი სთავაზობს მას მოსამზადებელ კურსებს. ცოდნის დონიდან გამომდინარე, სტუდნეტებს აქვთ შესაძლებლობა სამი, ხუთი ან ცხრა თვიანი პროგრამის მეშვეობით აიმაღლონ ბიოლოგიისა და ქიმიის ცოდის დონე. აღნიშნული მოსამზადებელი კურსები სრულდება ტექსტური გამოცდებით, რომლის შედეგების საფუძელზეც ხდება სტუდენტების ჩართვა პროგრამაში.
გარდა ამისა მან განმარტა, რომ აუცილებლად მოხდება შეფასების სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.
პორტფოლიოებთან დაკავშრებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას სტუდენტები 2012 წლიდან იყენებენ. პირველი პორტფოლიოს ფარგლებში ხდებოდა მტკიცებითი და შეფასებითი ნაწილის მოგროვება და ფოლდერებში მათი განთავსება, ხოლო შემდგებ ხდებოდა კომისიის მიერ მისი შეფასება და დასკვნის ჩამოყალიბება. აღნიშნული

პორტფოლიოების წარდგენა სტუდენტს შეეძლოს დამსაქმებლისთვისაც. ამ ეტაპზე უნივერსიტეტმა გადაწყვიტა პორტფოლიოები ელექტრონულად აწარმოოს. წლების განმავლობაში თვისობრივ პორტფოლიოებს იყენებდნენ მხოლოდ მე-7 და მე-8 სემესტრის სტუდენტები, კლინიკებიდან და პრაქტიკული უნარებიდან გამომდინარე. მომავალი სასწავლო წლიდან კი პირველივე სემესტრიდან იქნება პორტფოლიები ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად იყენებენ ,,In House" პლატფორმას, რომელთან დაკავშრებით უნივერსიტეტმა კონსულტაცია გაიარა უცხოურ ექსპერტთან. კოსულტაციების შედეგად, უნივერსიტეტი გადავიდა ,,In House" პლატფორმაზე და შესაბამისად, პორტფოლიობის მომზადებაც ელექტრონულად ხდება.

დიმიტრი გეგენევამ აღნიშნა, რომ აუცილებელი დოკუმენტები ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით არის შემოტანილი უნივერსიტეტის მიერ.
აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დოკუმენტები შემოტანილი იყო ნოემბერში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ შიძლებოდა აღნიშნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს გამოყენება. აქედან გამომდინარე ექპსერტებმა უნივერსიტეტს დაუდგინეს 20 სექტემბრამდე დრო, რათა მათ მოახდინონ ძველი კვალიფიკაციის ჩარჩოს ახალი სტანდარტებით ჩანაცვლება.

საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელს და დააზუსტა თუ რა საფუძვლიდან გამომდინარეობდა სასწავლო პროცესის მონიტორინგში სილაბუსით დადგენილი მიმდინარეობის კონტროლის მეტი სისრულით ასახვის შესახებ რჩევის მიცემა.
აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ხარისხის სამსახური აქტიურად არის ჩართული და მუდმივ მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესების მიმდინარეობას. რჩევიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა და ასახვა, თუ რამდენად თანმიმდევრობით მიდინარეობს აღნიშნული პროცესი.

საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა მე-5 რჩევაზე, რაც გულისხმობდა, პროგრამაში ჩართული ყველა პედაგოგის (ავტორის და განმახორციელებლის) პირადი საქმის განახლებას. მან ასევე აღნიშნა, რომ ცოდნის დონე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, განსაკუთრებით ინგლისურენოვან პროგრამაზე.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შეხვედრის დროს უნივერსიტეტმა წარმოადგინა პედაგოგებთან გასაუბრების ოქმები, სადაც ასევე ასახული იყო პედაგოგთა ინგლისურში შემოწმების დამადასტურებელი დებულებები და დასკვნები.
მოცემულ საკითხთან მიმართებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება პედაგოგთა რეზიუმეების განახლება და აუცულბელი ინფორმაციის უნიფიცირებულ ფორმაში ასახვა.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ რჩევის სახით განაცხადა, რომ უნივერსიტეტისთვის ბევრად უკეთესი იქნება თუ იგი დაეყრდნობა საერთაშრისო სერთიფიკატს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროგრამა გათვლილია უცხოელ სტუდენტებზეც.
აღნიშნულთან დაკავშრებით უნივერსიტეტის წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ისინი მაქსიმალურად მუშაობენ აღნიშულ საკითხზე.

საბჭოს წევრმა დამაზუსტებელი შეკითხა დაუსვა უნივერსიტეტს იმასთან დაკავშირებით, ჰყავთ თუ არა მათ დამსაქმებელი ან იგეგმება თუ არა სამომავლო თანამშრომლობა რომელმე სარეაბილიტაციო კლინიკასთან.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ,,საუნივერსიტეტო რეაბილიტაციური კლინიკა“ მუდმივად თანამშრომლობს მათთან და შესაბამისად იგი არის სტუდენტების პოტენციური დამსაქმებელი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 14:52

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება

საბჭომ აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით და იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის” (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისი სწავლების ენით არ ყოფილა აკრედიტირებული, მიიჩნია ახალ პროგრამად.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

2.მეორე საკითხი: შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „საზოგადოებრივი ურთიერთობების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ურთიერთობები და კომუნიკაციის ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი N67
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ზოგადად ისაუბრა არსებული პროგრამის შესახებ.
ვიზიტი 2020 წლის 4 ივნისს გაიმართა. ექსპერტების ჯგუფმა ჩაატარეს აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან პერსონალური და ონლაინ შეხვედრები. პანდემიის გამო ცალკეული შეხვედრები ჩატარდა ზუმის მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის შესწავლის გარდა განახორციელა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და ანალიზი. სასწავლო დაწესებულების მხრიდან ყველა პირობა იყო შექმნილი, რათა შეფასების პროცესი სრულყოფილად წარმართულიყო.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოში მსგავსი ტიპის პროგრამა, რომელიც აგებულია ფსიქოლოგიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის თანხვედრაზე არ არსებობს, შესაბამისად, სასწავლო პროგრამა არის ინოვაციური. ასევე აღნიშნა, რომ პერსონალი ვინც არის ჩართული ისინი არიან საუკეთესო რესურსები, ძირითადად პრაქტიკაში არიან დასაქმებულები. პერსონალი ძალიან მოტივირებულია, რომ აღნიშნული პროგრამა

განახორციელოს. სასწავლო გარემოც არაჩვეულებრივია და გათვალისიწინებულია ყველა ფაქტორი რაც სტუდენტების ეფექტურ სწავლას შეუწყობს ხელს.
პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. საბაკალავრო პროგრამა გამრავალფეროვნდეს დარგში მოთხოვნადი სპეციალობების მიხედვით. საუბარია ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო კურსებზე;
2. გაიზარდოს თავისუფალ კომპონენტთა რაოდენობა;
3. მედიამონიტორინგის მიმართულებით მოხდეს სტუდენტებისათვის ბაზარზე არსებული მედიამონოტორინგის პროგრამების სწავლება;
4. ჩაემატოს მედიადაგეგმარების კურსი;
5.სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების მინიჭებისთვის, რეკომენდირებულია შეიცვალოს საბაკალავრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის წესი, კერძოდ სასწავლო პერსონალმა წინასწარ გამოაქვეყნოს არა ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში სტუდენტი დააკონკრეტებს თემის სათაურს.
6. გაძლიერდეს ფსიქოლოგიის კომპონენტი (მაგ. მნიშვნელოვანია დაემატოს ფსიქოლოგიის შესავალი);
7. რადგანაც საზოგადოებასთან ურთიერთობის დისციპლინა სწრაფად იცვლება და ვითარდება, მნიშვნელოვანია, რეგულარულად მოხდეს სასწავლო ლიტერატურის უახლესი გამოცემებით და ონლაინ პლატფორმებით განახლება;
8. სასწავლო კურსების დიდ ნაწილში (ექსპერტთა ჯგუფმა 9 ასეთი სილაბუსი აღმოაჩინა) გასასწორებელი ტექნიკური ხარვეზები. ტექნიკური ხარვეზი გულისხმობს შეფასების ქულების რაოდენობის დაჯამების არითმეტიკულ შეჯამებას, საგამოცდო ზღვრების სწორად განსაზღვრას და სხვ.);
9. გააზრებული იქნას სხვადასხვა პედაგოგის მიერ ერთი და იგივე ლიტერატურის (ერთი და იგივე გვერდების/თემების) გამოყენების აუცილებლობა;
10. მოხდეს კურსის „შესავალი მათემატიკურ აზროვნებაში“მოდიფიკაცია ისე რომ, შეესაბამებოდეს საბაკალავრო პროგრამის მიზნებს;
11 საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში მითითებული იქნას ციტირების ტექნიკის დეტალები;
12. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაძლიერება პროგრამის განხორციელების დროს და შექმნას სტუდენტების ჩართულობის მექანიზმები;
13. გადაიხედოს სწავლა-სწავლის მეთოდები. მაგ. როლური თამაში არის ჯგუფური მუშაობა;
14. რადგანაც პროგრამას სისტემატურად სჭირდება განვითარება, მნიშვნელოვანია გააზრებული იქნას, რამდენად ეყოფა რესურსი უნივერსიტეტის რექტორს და ვიცე რექტორს აღნიშნული პროგრამის მენეჯმენტზე და განვითარებაზე;
15. აუცილებელია აფილირებული პროფესორების დარგობრივი პროფესორებით გაზრდა (ფსიქოლოგია/საზოგადოებრივი ურთიერთობები);
16. მნიშვნელოვანია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უცხოურ უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, რათა მოხდეს სტუდენტების ჩართვა საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პრექტებსა და სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
17. დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაცია.
საერთო ჯამში მიაჩნიათ, რომ პროგრამა ინოვაციურია ახალი რაკურსით არის წარმოდგენილი და უნიკალურია დღეს საგანმანათლებლო ბაზარზე.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რეკომენდაციები საინტერესო და ამავე დროს აუცილებლია პროგრამის დახვეწისთვის. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ პროგრამა სიახლეს წარმოადგენს და მისი განვითარება პერიოდულად მიმდინარეობს. რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ პროექტში ასახული რეკომენდაციების დიდი ნაწილი, რომლებიც ექსპერტებმა მიგნებების სახით გააცნებს დაწესებულებას ვიზიტის დასრულებისას, უკვე გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. დაწესებულებამ რეკომენდაციების შესრულებაზე უკვე დაიწყო მუშაობა აქტიურ რეჟიმში, გარდა ამისა რექტორმა აღნიშნა, რომ რეკომედნაციების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით დაწესებულებამ არა ერთი მემორანდუმი გააფორმა ცნობილ და წარმატებულ დაწესებულებასთან. დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ყველა რეკომენდაციას, გაასწორეს ტექნიკური ხარვეზები, პორტალთან დაკავშირებით გაითვალისწინეს რეკომენდაციები, მათ გამოაცხადეს კონკურსი აიყვანეს ორი აფილირებული ლექტორი, რომლებიც ფსიქოლოგიის მიმართულებით წაიკითხავენ კურსებს, ასევე გაითვალისწინეს ციფრულ ტექნოლოგიების მიმართულებით რეკომენდაცია, გააფართოვეს პარტნიორთა წრე. ინტერნაციონალიზაციის კუთხითაც დაამატეს, რომ გაითვალისწინეს რეკომენდაცია, რამდენიმე დღეა რაც დაასრულეს მოლაპარაკებები უმსხვილეს ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან და სტუდენტებს მიეცემათ საშუალება, რომ 126 ქვეყანაში გაიარონ მოხალისეობრივი ან/და პროფესიული კუთხით სამსახურები. მემორანდუმის ფარგლებში ამ ორგანიზაციას დაუთმეს ოფისი თანამშრომლობის ფარგლებში და მათ შესთავაზეს უნიკალური პირობა გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით. ასევე, მოლაპარაკებები არის დასრულების ეტაპზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანასთანაც.
გამოითქვა მოსაზრება რამდენად გაწვდებოდა რესურსი რექტორის და ვიცე-ლექტორის პროგრამას ისინი მზად არიან ამ გამოწვევისთვის, მათი გეგმები გაცილებით უფრო მაშტაბურია, რამდენიმე მიმართულებით დაწყებულია მუშაობა.
ციფრული მედიის მიმართულებით შემოუერთდათ საკმაოდ ძლიერი კომპანიები. ორივე კომპანია მზადაა მისცეს სტუდენტებს პრაქტიკული კომპონენტებში გამოცდილების მიღების საშუალება. ასვეე მემორანდუმები არის დადებული ტელეკომპანიებთან, ფსიქოლოგიურ ცენტრებთან და ძალიან დიდი ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით.
დიმიტრი გეგენავამ დააზუსტა, რომ როგორც გაიგო რეკომენდაციების უმრავლესობას ეთანხმება დაწესებულება, რაც ცოტა უცნაურია. მან ყურადღება გაამახვილა პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უბრალოდ გამოხატავენ მზაობას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები ან გამოეთქვათ მოსაზრებები

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს რომ სურდა დაეზუსტებინა, თუ რა შეხედულებები ჰქონდათ სასწავლო უნივერისიტეტს იმასთან დაკავშირებით, თუ სად იმუშავებენ პროგრამის დასრულების შემდგომ სტუდენტები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, საკმაოდ მულტიფუნქციური პროფესიაა, რომელიც აუცლებლია, როგორც საჯარო დაწესებულებაში, ასევე კომერციულ სტრუქტურაშიც. დაწესებულების განცხადებით სტუდენტები დასაქმდებიან ყველა იმ უწყებაში, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოებასთან ურთიერთობასა და რეპუტაციულ მენეჯმენტს, ფართო არეალია.
საბჭოს წერს კონკრეტულად აინტერესებს მენეჯერად უნდა იმუშაოს მათმა კურსდამტავრებულმა თუ „სპიკერად“.

დაწესეულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ პროცესის მენეჯერად, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერად, როგორც საჯარო უწყებაში ასევე კერძო ორგანიზაციაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სჭირდება ბანკსაც, არასამთავრობო ორგანიზაციასაც. ყველა იმ უწყებას, რომელსაც რეპუტაციაზე და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე აქვს პრეტენზია სჭირდება ეს მიმართულება. შესაბამისად, სტუდენტები სხვადასხვა დაწესებულებაში შეასრულებენ მენეჯერის უფლება-მოვალეობებს. გარდა ამისა იგი პროექტის დონეზეც ჩართული უნდა იყოს სხვადასხვა მნიშვნელოვან პროცესში, რადგან მან უნდა დაგეგმოს საკომუნიკაციო აქტივობები, რომელიც აღნიშნული პროექტის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს.

გიორგი თურქიამ დააზუსტა, კურსდამთავრებული პროექტების მონაწილე უნდა გახდეს თუ არა, მაგალითად პროექტის დონეზე უნდა განიხილოს თუ არა გარკვეული პროცესები.

დაწესებულების წარმოამდგენელმა აღნიშნა, რომ რადგან კურდამთავრებულმა უნდა დაგეგმოს საკომუნიკაციო საკითხები, შესაბამისად ჩართული უნდა იყოს, ეს პირდაპირი ფუნქცია არ არის, მაგრამ ჩართულობა ამ პროცესებში აუცილებელია.

გიორგი თურქიამ იკითხა პროგრამის სათაურზე ამ ფორმით რატომ ჩამოყალიბდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს პროფესია უნდათ, რომ მეცნიერულ დონეზე შეასწავლონ, ავტორიზაციის პროცესში მიიღეს რეკომენდაცია რატომ არ უნდოდათ ეს ყველაფერი გამოიტანონ დასახელებაშიც და ეს გაითვალისწინეს. შესაბამისად ეს ყველაფერი დასახელებაში გამოჩნდა, ამავდროულად ჩამოაყალიბეს პიარ ასოციაციაც.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილი დაინტერესდა თუ რამდენად კავშირში იყო პროგრამა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. მაშინ როცა იმ სფეროში, სადაც ხდება კვალიფიკაცის მინიჭება, კერძოდ ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, გამორიცხულია საზოგადოებასთან ურთიერთობების შესწავლა (ძირითადი სპეციალობის ჭრილში). გარდა ამისა, იგი დაინტერესდა ძირითადი სპეციალობის საგნებისა და კრედიტებს რაოდენობით. აქ მოიაზრება სულ სხვა დეტალური სფერო, რომელსაც ჰქვია მარკეტინგი და რეკლამირება (0414). აქედან გამომდინარე ის კვალიფიკაცია რომელსაც ანიჭებს მოიაზრებს მხოლოდ „ვორდინგს“ და „ქონთენთს“ . შესაბამისად მისანიჭეებელი კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში შინაარსთან. კითხვა აქვს თუ რამდენი კრედიტით შეუძლიათ ამ კვალიფიკაციაზე გასვლა.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირები განმარტა, რომ პროგრამით გათვალისწინებულია ძირითადი საგნები, რომლებიც უშუალოდ გადიან შედეგსა და კვალიფიკაციაზე. ექსპერტთა ჯგუფი ცდილობდა დაედგინა თუ რამდენად არის ეს საგნები პროგრამის კვალიფიკაციასთან კავშირში, რასაც ადასტურებს რუკა, შედეგების შეფასება, სილაბუსები. დასახელებას რაც შეეხება აქ მიაქციეს ყურადღება მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე რამდენად გადიოდა. ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით, პროგრამა ნამდვილად გადის სწავლის შედეგზე და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

დიმიტრი გეგენავამ დააზუსტა, არა გულისმობენ, რომ მასობრივი კომუნიკაციების საგნები არ შედის პროგრამაში, აქ საუბარია იმაზე, რომ ამასთან ერთად შედის სხვა სფეროებიდანაც, უბრალოდ კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო განსაზღვრავს ზუსტად თუ რამდენი კრედიტი უნდა დააგროვოს სტუდენტმა, რომ მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე გადიოდეს (120) კრედიტი. რამდენი საგანია და რამდენ კრედიტს აგროვებს სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკვალიფიკაციო ჩარჩო საკმაოდ ზღუდავს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამას. როცა ეს შეიმუშავეს საკვალიფიკაციო ჩარჩოში იყო საზოგადოებასთან ურთიერთობა და რეკლამა, შემდეგ საკვალიფკაციო ჩარჩოს შესწავლისას გამოვლინდა, რომ ყველაზე მეტად შეესაბამებოდა მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებას. ამ პროგრამის განვითარებით უნდათ მასობრივი კომუნიკაციების მიმართულებით გააძლიერონ ის კომპონენტი რაც ასე მნიშვნელოვანია.

ექსერტმა განმარტა, რომ პროგრამაში არის მთელი რიგი საგნები, რომლებიც კვალიფიკაციაზე გადის.

დიმიტრი გეგენავამ სთხოვა, რომ უშუალოდ კითხვაზე გაეკეთებინათ აქცენტი, კერძოდ კრედიტების რაოდენობაზე, კრედიტების მოცულობის თვალსაზრისით კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში განსაზღვრულ ზუსტ კლასიფიკატორს რამდენად აკმაყოფილებდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა მოცემულ საკითხთან მიმართებით აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სფერო აერთიანებს როგორც სარეკლამო საქმიანობას, ასევე უშუალოდ საზოგადოებასთან ურთიერთობას, კორპორატიულ და ინსტიტუციურ მედიას, ტელე და ინსტიტუციურ მედიას და ასევე კომუნიკაციას. შეისწავლეს უცხოური გამოცდილება, მიმართეს უცხოელ პარტნიორს, რომელმაც აღნიშნა, რომ ის აკმაყოფილებს მოთხოვნას. მან ასევე განმარტა, რომ ძირითადი საგნები არის 5 და 6 კრედიტის მოცულობის.
დიმიტრი გეგენავამ დამაზუსტებლად იკითხა ჯამურად რამდენი იყო. საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული საკვალიფიკაციო ჩარჩოდან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორიდან გამომდინარე, კვალიფიკაცის მინჭებელი პროგრამის საგანთა ჯამური კრედიტების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 120, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არის სახეზე.
დასახელებაში ფსიქოლოგიის ბაკალავრია თუ მასობრივი კომუნიკაციის არ ჩანს, ეთანხმება კარგია სხვადასვა პროფილის შემოტანა, მაგრამ ფსიქოლოგიის პროფილი როცა არცერთი აფილირებული პროფესორი არ არის ამ მიმართულებით, უცნაურია. ასევე არაა შესაბამისი როცა ორატორულ ხელოვნებას ასწავლიან არა დარგის სპეციალისტები. მაგალითად ბიოლოგიის მიმართულებით კვალფიკაციის მქონე პირი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება, 20 წელია უკვე ამ დარგში.
ნინო დობორჯგინიძემ ასევე ხაზი გაუსვა, რომ შეუსაბამობებია ასევე დარგობრივი კუთხით კვალიფიცირებულ პროფესორებსა და წასაკითხს საგანს შორის. მაგალითად თეოლოგიის მაგისტრი კითხულობს კრიტიკული აზროვნების კურსს, რაც დარგობრივად ერთმანეთთან შეუთავსებელია. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ მას აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.
გარდა ამისა, საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის სათაურზე და აღნიშნა, რომ სათაურიდან გამომდინარე არ ჩანს პროგრამა ფსიქოლოგიის ბაკალავრიატს წარმოადგენს, საზოგადოებრივი ურთიერთობის თუ მასობრივი კომუნიკაციების. მნიშვნელოვანია ასევე აკადემიური პერსონალის საკითხი, რომლებსაც ძირითადად წარმოადგენენ პრაქტიკოსები და არა დარგობრივი (მასობრივი კომუნიკაციის) პროფესიონალები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი ასევე გაეცნენ ბევრ სხვა მსგავს პროგრამას და მათ შორის განსხვავება თითქმის არ არის. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ მათ პროგრამაში აქცენტი კეთდება, რომ ფსიქოლოგიის კომპონენტი უფრო მეცნიერულად იქნას შესწავლილი. ასევე კითხვა აქვს რა იგულისხმება იმაში, რომ ეს საგანი ამ კვალიფიკაციაზე არ გადის. ჟურნალისტიკის პროგრამებში არ არის ეს საგნები ჩადებული? რას გულისხმობს, რომ ეს საგნები ამ კვალიფიკაციაზე არ გადის.
ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ აქ პრობლემაა დაწესებულების მხრიდან საკვალიფიკაციო ჩარჩოს გაგებასთან დაკავშირებით.
დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა სრულიად სხვა კვალიფიკაციაა და მასობრივი კომუნიკაცია არის სულ სხვა კოდის ქვეშ სხვა კვალიფიკაცია. მას ესმის, რომ აკრედიტაციის პროცესი გაუმჯობესებას ემსახურება, მათი მიზანია შეაფასონ, რომ კანონმდებლობასთან და კვალიფიკაციასთან პრობლემა არ ჰქონდეს პროგრამას და მეორე შინაარსი რაც მიეწოდება სტუდენტს იყოს მაღალი ხარისხის. შეიძლება ეთანხმებოდეს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა შეიძლება ისწავლებოდეს მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტისთვის, მაგრამ ეს ვერ ჩაითვლება სპეციალობის კრედიტებში, რადგან ეს არის მომიჯნავე დარგის.
დაწესებულებამ განმარტა, რომ დაწესებულება არის ახალი, იმ სფეროებში სადაც სასწავლო პროგრამებს შეიმუშავებენ, ფიქრობენ რომ კომუნიკაცია, კომუნიკაციის ფსიქოლოგია არის

ძალიან მნიშვნელოვანი, რომ განვითარდეს ქვეყანაში. ბევრი მაგალითი აქვთ იმის, რომ ეს სფერო იყოს განვითარებული, დეფიციტურია ეს მიმართულება. აღინიშნა, რომ ყველა ის ძირითადი საგანი, რომელიც წარმოდგენილია 120 კრედიტის ფარგლებში, შეესაბამება მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციას.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მოცემული სწავლის სფეროების კლასიფიკატორიდან გამომდინარე აუცილებლია გადაიხედოს ძირითადი სპეციალობის სილაბუსები და ძირითადი საგნები. ასევე აუცილებელია ლოგიკური კავშირის დადგენა სწავლის შედეგებთან. გადასახედია ასევე პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი.
ასევე საბჭომ მიიჩნია, რომ უნდა მოხდეს კვალიფიკაციის სწორი ფორმულირება, ნაცვლად მასობრივი კომუნიკაციების ბაკალავრისა (0321) უნდა იყოს მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 16:38

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერთა შეფასება,

კერძოდ,1-ლი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, მე-4 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამამ თავისი შინაარსით და კრედიტების რაოდენობით უზრუნველყოს პროგრამის მიზნების და დაგეგმილი შედეგების მიღწევადობა;
ბ) პროგრამამ თავისი სტრუქტურით უზრუნველყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამის დეტალურ სფეროსთვის დადგენილ პირობებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობა;
გ) პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან;
დ) პროგრამის განხორციელება უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიურმა პერსონალმა;
ე) საბაკალავრო პროგრამა გამრავალფეროვნდეს დარგში მოთხოვნადი სპეციალობების მიხედვით. საუბარია ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო კურსებზე ;
ვ) მედიამონიტორინგის მიმართულებით მოხდეს სტუდენტებისათვის ბაზარზე არსებული მედიამონოტორინგის პროგრამების სწავლება;

ზ) ჩაემატოს მედიადაგეგმარების კურსი;
თ) სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების მინიჭებისთვის, რეკომენდირებულია შეიცვალოს საბაკალავრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის წესი, კერძოდ სასწავლო პერსონალმა წინასწარ გამოაქვეყნოს არა ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში სტუდენტი დააკონკრეტებს თემის სათაურს;
ი) სასწავლო კურსების დიდ ნაწილში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები. ტექნიკური ხარვეზი გულისხმობს შეფასების ქულების რაოდენობის დაჯამების არითმეტიკულ შეჯამებას, საგამოცდო ზღვრების სწორად განსაზღვრას და სხვ.);
კ) გააზრებული იქნას სხვადასხვა პედაგოგის მიერ ერთი და იგივე ლიტერატურის (ერთი და იგივე გვერდების/თემების) გამოყენების აუცილებლობა;
ლ) მოხდეს კურსის „შესავალი მათემატიკურ აზროვნებაში“ მოდიფიკაცია ისე რომ, შეესაბამებოდეს საბაკალავრო პროგრამის მიზნებს;
მ) საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში მითითებული იქნას ციტირების ტექნიკის დეტალები;
ნ) მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაძლიერება პროგრამის განხორციელების დროს და შექმნას სტუდენტების ჩართულობის მექანიზმები;
ო) გადაიხედოს სწავლა-სწავლის მეთოდები;
პ) რადგანაც პროგრამას სისტემატურად სჭირდება განვითარება, მნიშვნელოვანია გააზრებული იქნას, რამდენად ეყოფა რესურსი უნივერსიტეტის რექტორს და ვიცე რექტორს აღნიშნული პროგრამის მენეჯმენტზე და განვითარებაზე;
ჟ) აუცილებელია აფილირებული პროფესორების დარგობრივი პროფესორებით გაზრდა;
რ) მნიშვნელოვანია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უცხოურ უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, რათა მოხდეს სტუდენტების ჩართვა საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პრექტებსა და სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
ს) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, როგორც პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან კომუნიკაციით და მათი კონსულტირებით, ისე პროგრამის დასრულებული პროექტის შემოწმებით, უნდა უზრუნველყოს პროგრამის შინაარსის შესაბამისობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამის დეტალურ სფეროსთვის დადგენილ პირობებთან;
ტ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს პროგრამის სტრუქტურის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, კერძოდ კვალიფიკაციის მისანიჭებლად დადგენილი კრედიტების რაოდენობით;
უ) რეკომენდირებულია პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-2 მუხლის მეხუთე პუნქტთან, მე-6 მუხლის მეორე და მესამე პუნქტთან.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი ეთქვას შპს - მართვისა

და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნების დაცვისა და მეტყევეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბუნების დაცვა და მეტყევეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2012 წლის 13 სექტემბრის N375 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობა (MBA), ბუნებათსარგებლობა (MSc), სატყეო მეცნიერება, ტყის რესურსების მდგრადი მართვა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი ბუნებათსარგებლობაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, გ.წერეთლის N3,
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

აცილება განაცხადა- ნინო დობორჯგინიძემ, პაატა ბრეკაშვილმა.
აცილების საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა მოკლედ ისაუბრა უნივერსიტეტში ჩატარებული შეხვედრის შესახებ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 31 იანვრის №105914 და 2020 წლის 2 აპრილის №326904 ბრძანების „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ“ საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი სამი წევრისაგან. ბრძანების შესაბამისად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნების დაცვა და მეტყევეობა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განახორციელა 2020 წლის 29 მაისს. ვიზიტის მსვლელობისას შეხვედრები და ინტერვიუები გაიმართა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო პროგრამის მოქმედ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე პოტენციურ დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის დასრულებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნების დაცვა და მეტყევეობა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას დადგინდა,რომ 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2, 5.3, შესაბამისობაშია, 1.1., 1.2, 2.1, მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო 2.2 და 2.3 ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომდაციები, კერძოდ:

1. დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან.
2. დაზუსტდეს პროგრამის კვალიფიკაცია და შესაბამისობაში მოვიდეს საკვალიფიკაციო ჩარჩოს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ ნ ბრძანება) დეტალური სფეროს აღწერითი ნაწილის შინაარსთან;
3. დაზუსტდეს პროგრამის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს საკვალიფიკაციო ჩარჩოს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება) დეტალური სფეროს აღწერითი ნაწილის შინაარსთან;
4. განისაზღვროს პროგრამაზე ჩარიცხვის ის კვალიფიკაციები, რომლებიც შეძლებენ არსებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
5. დაზუსტდეს „ბუნების დაცვა და მეტყევეობის“ მიმართულებით ჩარიცხვის საბაზო (ბაკალავრიატი) განათლება, რომლებიც შეძლებენ არსებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
6. აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში;
7. დაზუსტდეს სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ისე რომ გათვალისწინებულ იქნას პროგრამის სპეციფიკა მის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპენტეციების მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვა;
8. დაიხვეწოს პროგრამის შინაარსი და სტუქტურა, შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან;
9. სასწავლო კურსი „დაცული ტერიტორიების პოლიტიკა, დაგეგმვა და მენეჯმენტი“ არჩევითი ბლოკიდან გადავიდეს ძირითად სავალდებულო ბლოკში;
10. პროგრამის დაშვების წინაპირობა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან, გათვალისწინებულ იქნას პროგრამის სპეციფიკა;

11. დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. მეორე და მესამე სემესტრის სასწავლო კურსებს დაემატოს დაშვების წინაპირობები რათა სასწავლო კურსები თანამიმდევრულად და ლოგიკურად დალაგდეს და შემდეგ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები იყოს ადეკვატური;
12. დაზუსტდეს პროგრამის გარე შეფასების და სამუშაო ჯგუფის სხდომის ჩატარების თარიღები. განხილულ იქნეს გარე შეფასების დოკუმენტი და რეკომენდაციები აისახოს პროგრამაში;
13. დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები შემდეგ სილაბუსებში: „ტყის ეკოლოგია და დაცვა“; „ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი“; „ტყის ოპერაციული მართვა“; „ნიადაგისა და მცენარეულობის შეფასება“; „მდგრადი მენეჯმენტი და სერთიფიცირება“;
14. დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი“ მიზნები, სწავლის შედეგები;
15. დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ მიზნები, სწავლის შედეგები, შესაბამისობაში მოვიდეს სათაურთან;
16. აღმოიფხვრას გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში: „ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი“ და „ტყის ეკოლოგია და დაცვა“;
17. აღმოიფხვრას გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში: „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ და „ტყის ოპერაციული მართვა“ სათაურების შესაბამისად დაზუსტდეს სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი.
18. თვითშეფასების ანგარიშში ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდეს ტრეინინგები, თვითშეფასების ჯგუფისა და პროგრამის ხელმძღვანელისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ :1.1 ქვესტანდარტთან მიმართებით მან განაცხადა, რომ შეფასება არ არის დასაბუთებული და ვალიდური. კურიკულუმის დოკუმენტში მოცემული პროგრამის მიზანში აღნიშნულია, რომ ის ორიენტირებულია ისეთი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც:
1.თანამედროვე მეთოდებისა და ანალიტიკური უნარების გამოყენებით შეძლებენ ჩაატარონ დამოუკიდებელი კვლევა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროებში არსებული აქტუალური პრობლემების ეფექტურად გადასაჭრელად მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით;
2. პროფესიულ სექტორში ბუნებრივი რესურსებისა და დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, შეძლებენ დამოუკიდებლად მიიღონ ეფექტური გადაწყვეტილებები;
3. აცნობიერებენ საკუთარი პროფესიული განვითარების მნიშვნელობას და საქმიანობას წარმართავენ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.
ზემოთაღნიშნული ცხადყოფს, რომ პროგრამის მიზანში მკაფიოდ არის დეკლარირებული ის ცოდნა, უნარები და კომპეტენცია, რომელთა განვითარებასაც ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამა. მის ჩამოყალიბებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დამსაქმებლებმა და კურსდამთავრებულებმა. პროგრამაზე ეფექტური მუშაობის მიზნით, შეიქმნა პროგრამის მრჩეველთა საბჭო, რომელიც მომავალშიც გააგრძელებს პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას. ამავე ქვესტანდარტის (1.1) აღწერაში მითითებულია, რომ გაურკვეველია, რომელ სწავლის შედეგებზე დაყრდნობით მიიღწევა პროგრამის მეორე მიზანი. მიზანი ყოველთვის არის უფრო კომპლექსური და ზოგადი, რადგანაც ასახავს ხედვას, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგები აძლევს ინფორმაციას პოტენციურ სტუდენტსა და დამსაქმებელს, თუ რა ცოდნითა და უნარებით იქნება აღჭურვილი კურსდამთავრებული. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ კურიკულუმის აგების საერთო პრინციპებიდან და მიდგომებიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნის შესაბამისობა კურსების სწავლის შედეგებთან არ არის პირდაპირ კავშირში.

პროგრამა კონსტრუირებულია იმგვარად, რომ თითოეული კურსის სწავლის შედეგები უკავშირდებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს, რომლებიც თავის მხრივ, გამომდინარეობენ პროგრამის მიზნიდან. კურიკულუმის აგების ამავე პრინციპს ეყრდნობა თავად საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტადნარტებიც.
მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით უნივესიტეტის წარომადგენელმა განმარტა, რომ გაუგებარია, რას მიემართება აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან პროგრამის კვალიფიკაცია დაზუსტებულია (მეცნიერებათა მაგისტრი ბუნებათსარგებლობაში 0522) და უზრუნველყოფილია სწავლების არეალით, პროგრამის შინაარსითა და სტრუქტურით.
რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, ბუნდოვანია აღნიშული რეკომენდაციის საფუძველი, რადგან სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემული დეტალური სფეროს აღწერა ემსახურება ამ კონკრეტული სფეროს ზოგად დახასიათებას და არ გულისხმობს მის კოპირებას მასში გაერთიანებული სხვადასხვა მიმართულებების პროგრამების სწავლის შედეგებში. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში დეტალური სფეროს ზოგადი აღწერა, მითუმეტეს, რომ სამაგისტრო პროგრამა ყოველთვის გულისხმობს სპეციალიზაციას და ერთ ან ორ ასპექტზე კონცენტრირებას.
პროგამის მიღების წინაპირობების საკითხთან დაკაშირებით, გაუგებარი მიზეზების გამო გაკეთებეულია ოთხი ანალოგიური რეკომენდაცია სხვადასხვა ქვესტანდარტში, მათ შორის ისეთებშიც, რომლებიც არ ეხება პროგრამაზე მიღების წინაპირობებს: რეკომენდაციები N4 და N5 (ქვესტანდარტი 1.2), რეკომენდაცია N7 (ქვესტანდარტი 2.1) და რეკომენდაცია N10 (ქვესტანდარტი 2.2). ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროგრამაში განსაზღვრული მიღების წინაპირობები არ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სურთ აღნიშნონ, რომ პროგრამაზე მიღების პროცესი, რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი პროგრამის დოკუმენტებში, მოიცავს ზეპირ გამოცდას, სადაც კომისიის მიერ მოწმდება ის საბაზისო ცოდნა, რომელიც აუცილებელია პროგრამის დაძლევისთვის. ეს წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ბერკეტს, რომელიც აძლევს აპლიკანტების გაფილტვრისა და საუკეთესოს შერჩევის შესაძლებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მოცემულია იმ საბაკალავრო კვალიფიკაციების ჩამონათვალი, რომელთა მქონე პირები დაიშვებიან გამოცდაზე.
მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული შეფასება და რეკომენდაცია ატარებს ძალიან ზოგად ხასიათს და მოკლებულია ექსპერტების მხრიდან რაიმე არგუმენტს, რადგან არ არის დაკონკრეტებული, რაში მდგომარეობს შეუსაბამობა.
რეკომენდაციები N8, N9 (ქვესტანდარტი 2.2) შეეხება პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეუსაბამობის საკითხი ეფუძნება მხოლოდ ერთი კურსის, კერძოდ "დაცული ტერიტორიების პოლიტიკა, დაგეგმვა და მენეჯმენტი" სტატუსს, რომელიც მათი მოსაზრებით, არჩევითის ნაცვლად უნდა იყოს სავალდებულო. ეს კურსი მეტად სპეციალიზებულია და განკუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც აპირებენ სამაგისტრო კვლევას დაცული ტერიტორიების კუთხით.
ამავე ქვესტანდარტში მითითებულია რეკომენდაცია N11 (ქვესტანდარტი 2.2) - "დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. მეორე და მესამე სემესტრის სასწავლო კურსებს დაემატოს დაშვების წინაპირობები რათა სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგდეს და შემდეგ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები იყოს ადეკვატური" კურსების წინაპირობების არსებობა/არარსებობის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის დოკუმენტებში წარმოდგენილი იყო სარეკომენდაციო სასწავლო გეგმა სემესტრების მიხედვით (სამივე ბლოკის არჩევის შემთხვევაში ცალ-ცალკე), რომელსაც სტუდენტებს ჩარიცხვისთანავე, საინფორმაციო შეხვედრაზე აცნობენ ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პროგრამის ხელმძღვანელი. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ელექტრონული სისტემა "არგუსი" იძლევა სასწავლო კურსის შეთავაზების საშუალებას სტუდენტთა კონკრეტული ჯგუფისთვის

(მაგ, მე-2 სემესტრელებისთვის ან მე-3 სემესტრელებისთვის). ყველა ეს მექანიზმი ერთობლივად, იძლევა იმის გარანტიას, რომ სტუდნეტები გაივლიან სასწავლო კურსებს მათთვის დაგეგმილი თანმიმდევრობით. შესაბამისად, კურსების წინაპირობების მექანიკური ჩასმის აუცილებლობაც მოხსნილია. აღნიშნული მნიშვნელოვანია პროგრამის მოქნილობისთვის, რათა მოხდეს სტუდენტების კვლევით ინტერესებზე მაქსიმალური ორიენტირება და ასევე, გაცვლითი პროგრამების სტუდენტების (გერმანიიდან, შვედეთიდან) ინტერესების გათვალისწინება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ მიაჩნიათ სწორად, იმსჯელონ პროგრამის სტრუქტურაზე მხოლოდ წინაპირობის მქონე კურსების რაოდენობით.

რეკომენდაცია N13 (ქვესტანდარტი 2.3) - "დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები შემდეგ სილაბუსებში: „ტყის ეკოლოგია და დაცვა"; „ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი"; „ტყის ოპერაციული მართვა"; „ნიადაგისა და მცენარეულობის შეფასება"; „მდგრადი მენეჯმენტი და სერტიფიცირება". კურსი "შესავალი სატყეო მეცნიერებაში" ისწავლება პირველ სემესტრში, როგორც სავალდებულო კურსი, შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა გულისხმობს, რომ ამ კურსის გავლა არის სავალდებულო წინაპირობა მეორე სემესტრში შეთავაზებული ნებისმიერი კურსისთვის. სასწავლო კურსის „ტყის ეკოლოგია და დაცვა" სილაბუსში არაა სპეციალურად მითითებული, რომ ამ კურსზე დაშვების წინაპირობაა "შესავალი სატყეო მეცნიერებაში", მაგრამ ამ უკანასკნელის სავალდებულო სტატუსიდან გამომდინარე, სრულიად ცხადია, რომ ეს კურსი სტუდენტმა უნდა გაიაროს იქამდე, სანამ გაივლის კურსს „ტყის ეკოლოგია და დაცვა". დასკვნის პროექტში ასევე მითითებულია: "აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაფერისი საბაზო განათლება მეორე ტესტის ფარგლებში მეთერთმეტე კვირას პასუხობენ ღია ტიპის შეკითხვებს ტყის სიჯანსაღისა და მავნებლების მენეჯმენტის (3 ქულა) შესახებ. ხოლო მეთხუთმეტე კვირას საველე დავალების ფარგლებში „შერჩეულ საკვლევ კორომებში სტუდენტი უნდა ანსხვავებდეს პირველად და მეორეულ მავნებლებს, სწორად განსაზღვრავდეს სოკოსა და მწერის დაზიანებებს (2 ქულა)". აღნიშნული საკითხების შესწავლა კი სასწავლო კურსის არცერთი აქტივობის: ლექციების, სემინარების და საველე მუშაობის დროს არაა გაწერილი. შესაბამისად გაუგებარია როგორ ახდენს სტუდენტი მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სტუდენტი ვერ შეძლებს სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევას: „გაანალიზონ ტყის ბიომრავალფეროვნების მთავარი საფრთხეები და განსაზღვრონ მათი თავიდან აცილების გზები." სილაბუსიდან სრულიად გასაგებია, რომ სტუდენტმა უნდა აითვისოს ტყის მავნებლების შესახებ ინფორმაცია ამ საველე გასვლების ფარგლებში. ბუნდოვანია ასევე, რა კავშირშია აღნიშნულთან კომენტარი მეთერთმეტე კვირის ტესტთან დაკავშირებით.

ამასთანავე, დასკვნაში მითითებულია: "სასწავლო კურსის სილაბუსს „ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი" - რომელიც ისწავლება მესამე სემესტრში არ გააჩნია დაშვების წინაპირობა, მაშინ როცა სტუდენტს უკვე შესწავლილი აქვს შემდეგი სასწავლო კურსები: „შესავალი სატყეო მეცნიერებაში"; „ტყის ეკოლოგია და დაცვა" და „ტყის ოპერაციული მართვა". აღნიშნულთან დაკავშირებით, განმარტა, რომ პირველ სემესტრში სტუდენტი სავალდებულოდ გადის კურსს "შესავალი სატყეო მეცნიერებაში". უნივერსიტეტში არსებული "არგუსის" სისტემა უზრუნველყოფს იმას, რომ ამ საგნის გავლის გარეშე სტუდენტი არ დაიშვება არც ჩამოთვლილ, და არც მეორე სემესტრის სხვა კურსებზე. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შენიშვნა დაუსაბუთებელია და პროგრამის ზედაპირული გაცნობის შედეგია.

რეკომენდაცია N14 (ქვესტანდარტი 2.3) დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი" მიზნები, სწავლის შედეგები, ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა განმარტა, რომ სასწავლო კურსში „ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი", მიზნები და შედეგები არის დაზუსტებული და დეტალურად არის ჩაშლილი. ისინი შესაბამისობაშია ერთმანეთთან და სრულად პასუხობენ კურსის შინაარს. მიზნებში ჩაშლილია პუნქტებად, თუ რას უნდა ელოდეს სტუდენტი კურსისგან და რა მიზნების მიღწევას ემსახურება აღნიშნული კურსი, ხოლო შედეგებში ნაჩვენებია ის კონკრეტული ცოდნა და

პრაქტიკული უნარები, რასაც მიიღებს სტუდენტი კურსის წარმატებულად გავლის შემთხვევაში. მაგალითად, ერთ-ერთ მიზნად წარმოდგენილია: პრაქტიკული და თეორიული ცოდნის განვითარება ტყის მერქნული რესურსების აღწერაში. ხოლო შედეგები პასუხობს ამ მიზანს და აზუსტებს: რომ კურსის წარმატებულად გავლის შემთხვევაში, სტუდენტს ეცოდინება უახლესი მეთოდები/მიდგომები და ექნება პრაქტიკული გამოცდილება მერქნული რესურსების გაზომვასა და შეფასებაში. კურსი „ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი“, დაფუძნებულია ქართული და უცხოური რეიტინგული ლიტერატურის გამოყენებით და სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

რეკომენდაცია N15 (ქვესტანდარტი 2.3) - დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ მიზნები, სწავლის შედეგები, შესაბამისობაში მოვიდეს სათაურთან; კურსის -„ტყის ეკოლოგია და დაცვა“ შედეგები შესაბამისობაშია მის სათაურთან. ვინაიდან ისინი ამ კურსის ფარგლებში უფრო მეტად კონცენტრირებულნი არიან ტყის გამოყენებით ეკოლოგიაზე, მაშინ როდესაც, “ტყის ფუნდამენტურ ეკოლოგიას” სტუდენტები გადიან არჩევითი კურსების ბლოკში. მიაჩნიათ, რომ მიზნები დაზუსტებულია სათაურების შესაბამისად, ვინაიდან: სასწავლო კურსის „ტყის ოპერაციული მართვა“ მიზანია სატყეო გზების მშენებლობის თეორიის შესწავლა, ტყესთან წვდომისა და მორსათრევი ბილიკების დაგეგმვა, რაც თავისთავად ტყის ოპერაციების ნაწილია. ხოლო სასწავლო კურსი „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ ფოკუსირებულია ტყის მდგრად მართვაზე, რაც სილაბუსშიც არის ხაზგასმული. თავის მხრივ, ტყის მდგრადი მართვა გულისხმობს სახეობების სელექციური მეურნეობის განახლების ხელშეწყობას. რაც შეეხება ხე-ტყის მოპოვებას, ორივე კურსში ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოპოვებაზეა საუბარი. მაგალითად, „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ ფოკუსირებულია ნებით ამორჩევითი ჭრებით ხე-ტყის მოპოვებაზე. ასევე სანიტარულ ჭრებზე, რაც ისწავლება კურსში ენტომოლოგიური საკითხების ფარგლებში, ხოლო „გამოხშირვა და მერქნის მოპოვება“, რომელიც ნახსენებია „ტყის ოპერაციული მართვის“ კურსის ფარგლებში, ორიენტირებულია მოვლითი და სპეციალური სარგებლობის ჭრებზე.

რეკომენდაცია N16 (ქვესტანდარტი 2.3) “აღმოიფხვრას გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში: ,,ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი“ და „ტყის ეკოლოგია და დაცვა”. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კურსის („ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი“, „ტყისეკოლოგია და დაცვა“) ფარგლებში ისწავლება ტყის აღწერის მეთოდები, კურსები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებიან და არ არის მათ შორის გადაფარვები.

რეკომენდაცია N17 (ქვესტანდარტი 2.3) - “აღმოიფხვრას გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში: „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ და „ტყის ოპერაციული მართვა“ სათაურების შესაბამისად დაზუსტდეს სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი”. მიგვაჩნია, რომ არ აქვს ადგილი გადაფარვები კურსების - „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ და „ტყის ოპერაციული მართვა“ შორის, ვინაიდან „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ წარმოადგენს თეორიულ და პრაქტიკულ კურსს ტყის ეკოლოგიისა და ტყის კულტურების შესახებ, ხოლო „ტყის ოპერაციული მართვა“, თავის მხრივ, აერთიანებს მასალას ტყის გამოხშირვის, მთავარი სარგებლობის ჭრების, კონკრეტულ კორომებში დასანიშნი ჭრების კონკრეტული სახეების შესახებ, რაც სათანადოდ არის ორივე კურსის სილაბუსის მიზნებში, სწავლის შედეგებსა და თემატიკაში. გარდა ამისა, კურსი „ტყის ოპერაციული მართვა“ გულისხმობს ტყიდან მერქნის გამოტანის მეთოდების სწორად შერჩევას, ტყის ჰაბიტატებისა და წითელი ნუსხის სახეობების მაქსიმალურად არ დაზიანების მიზნით. რაც საერთოდ არ არის ნახსენები კურსში „ტყის ეკოლოგია და დაცვა“. რაც შეეხება სასწავლო კურსის მიზნებს, შინაარსა და შედეგებს, კურსების სილაბუსებში დაზუსტებულია მათი სათაურებთან შესაბამისობა. ამასთან, ყველა ზემოთ აღნიშნული კომპონენტი გაწერილია ქვეყანაში არსებული და შიდა საუნივერსიტეტო სტანდარტების მიხედვით. ამასთან, თანხვედრაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან და ეფუძნება ციტირებად საერთაშორისო ლიტერატურას. კურსების თემატური გადაფარვების საკითხი განმარტებული იყო ექსპერტებისთვის აკადემიური პერსონალის მიერ, ძირითადი მიგნებების

სესიაზე კი ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ იზიარებენ მათ არგუმენტებს და ურჩევენ მხოლოდ სილაბუსებში ამის დამატებით დაზუსტებას.
რეკომენდაცია N18 (ქვესტანდარტი 5.1.) ეხება თვითშეფასების დოკუმენტის ტექნიკურ ხარვეზებს სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებით. გვსურს აღვნიშნოთ, რომ თვითშეფასების დოკუმენტში ტექნიკური ხარვეზი არ წარმოადგენს სტანდარტის ნაწილს. დაზუსტებული მონაცემები მოთხოვნილ მაჩვენებლებთან დაკავშრებით ვიზიტის დროსვე იქნა მიწოდებული ექსპერტებისთვის. აქვე დაამატა, რომ ყოველი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელს და თვითშეფასების ჯგუფს მიეწოდება დეტალური უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან.
სხდომის თავმჯდომარმე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.
საბჭოს წევრმა, მანანა კევლიშვილმა განმარტა, თუ რატომ არის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალური აღნიშნული პროცესის განმავლობაში. მან განმარტა, რომ პროგრამა მოიცავს ბუნების დაცვასა და მეტყევეობას, საიდანაც ბუნების დაცვა ეკუთვნის მეტად ფართო სფეროს - გარემოს, ხოლო მეტყევეობა ეკუთვნის სოფლის მეორნეობას, აქედან გამომდინარე ისინი აბსოლუტურად განსხვავებულ სფეროებს წარმოადგენენ.
ქალბატონმა მანანამ ასევ გამოყო ,,ნიადაგისა და მცენრეულობის შეფასების“ სილაბუსი და აღნიშნა, რომ ტერმინი ,,გამოყენებითი ნიადაგი“, რომელიც სილაბუსში არის მოცემული ნიადაგმცოდნობაში არ არსებობს. გარდა ამისა, ტერმინი ,, ვეგეტაცია“ აღნიშნავს მცენარეულ საფარს, შესაბამისად უმჯობესი იქნება აღნიშნული ტერმინის ჩანაცვლება. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ნიადაგმცონდეობაზე მასალა საკმაოდ მწირია, ძირითადი აქცენტები გაკეთებულია სატყეო მცენარეულობაზე. ასევე სილაბუსში აუცილებელია გაიწეროს თუ კონკრეტულად რომელ ნიადაგზეა საუბარი სწავლების განმავლობაში.
აღნიშნულთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, მეტყევეობა და ტყის მართვა განიხილება როგორც ბუნებრივი რესურსებით სარგობლობისა და მართვის ერთ-ერთ ფორმად და შესაბამისად უნივერსიტეტში მის სწავლებაც ამ კუთხით ხდება. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ძირითადი ბლოკი ეთმობა ტყის რესურსების შესწავლასა და მართვას.
საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა გამოყო დასკნის შედეგების საკითხი. მან განმარტა, რომ პირველი სტანდარტი ვერ იქნება შესაბამისობაში, თუ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნივერსიტეტში არ არის გამართული. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ 1, 2 და 5 სტანდარტები ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაშია, რაც არსებული დასკვნიდან გამომდინარე არ ჩანს, რადგან ძირითადი რეკომენდაციები გაკეთებულია პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით, რაც შეეხება 3, 4 და 5 სტანდარტებს, მათთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ გვხვდება.
ექსპერტებმა განმარტეს, რომ პირველი და მეხუთე სტანდარტი ნამდვილად ლოგიკურ კავშირშია ერთამანეთთან, მათ ასევე აღნიშნეს, რომ რეკომენდაციები გაცემულია მეხუთე სტანდარტთან მიმართებითაც, მაგრამ აღნიშნული გავლენას არ ახდენს კვალიფიკაციაზე.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის მიზნებზე და აღნიშნა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემულია, რომ 0522 დეტალურ სფეროში შემავალი მართვაზე ორიენტირებულ სწავლის სფეროებში არ ხდება მეცნიერებათა მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭება. მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ორიენტირებულია მართვაზე, კლასიფიკატორში მოცემული ინფორმაციის მიხედვით კი შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელებებია მხოლოდ BA ან მაგისტრი ბუნებათ სარგებლობაში.
აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 0522 მითითებულია თუ სახეზეა ადმინისტრირება ან მართვა. რაც შეეხება აღნიშნულ პროგრამას იგი ორიენტირებულია არა მართვაზე, არამედ კვლევაზე.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:14
დასრულების დრო:17:45

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნების დაცვისა და მეტყევეობის“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭება, 7 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება

კერძოდ მე-2 სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია“ მოთხოვნებთან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ა) დაზუსტდეს პროგრამის შედეგები, ტყის მიმართულების კონცენტრაცია და უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს ტყეზე, როგორც ბუნების რესურსების ნაწილზე და გაიმიჯნოს მეტყევეობის კვალიფიკაციისგან;
ბ) პროგრამის მიზნები და შედეგები (კვლევით კუთხეზე აქცენტირებით) მართვის ნაწილში დაკორექტირდეს და მოვიდეს შესაბამისობაში უშუალო კვალიფიკაციასთან (MSc);
გ) მეორე და მესამე სემესტრის სასწავლო კურსებს დაემატოს დაშვების წინაპირობები რათა სასწავლო კურსები თანამიმდევრულად და ლოგიკურად დალაგდეს, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები შემდეგ სილაბუსებში: „ტყის ეკოლოგია და დაცვა“; „ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი“; „ტყის ოპერაციული მართვა“; „ნიადაგისა და მცენარეულობის შეფასება“; „მდგრადი მენეჯმენტი და სერთიფიცირება“;
დ) დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი“ მიზნები, სწავლის შედეგები, ასევე, დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ მიზნები, სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს სათაურთან;
ე) გადაიხედოს ტყის ინვენტარიზაცია, დაგეგმვა და მონიტორინგი“ და „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ სასწავლო კურსების თემატიკა დაზუსტდეს. სასწავლო კურსებში: „ტყის ეკოლოგია და დაცვა“ და „ტყის ოპერაციული მართვა“ სათაურების შესაბამისად დაზუსტდეს სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი, ასევე გაიმიჯნოს ერთმანეთისგან მათ შორის გადაფარვის პრევენციის მიზნით.

რჩევა:

ა) სასწავლო კურსი „დაცული ტერიტორიების პოლიტიკა, დაგეგმვა და მენეჯმენტი“ არჩევითი ბლოკიდან გადავიდეს ძირითად სავალდებულო ბლოკში;
ბ) გასწორდეს თვითშეფასების ანგარიშში არსებული ტექნიკური ხარვეზები.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27 ^{2} მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის,

27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნების დაცვისა და მეტყევეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია, 7 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 5 თებერვლის N40 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ბათუმი, 6010, გრიშაშვილის ქუჩა 15, სასწავლო კორპუსი 4
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

თვითაცილება განაცხადეს

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციებზე, კერძოდ:

1. პროგრამის მიზანი საჭიროებს ტექსტობრივ სრულყოფას, სასურველია მოხდეს მისი დაზუსტება;
2 . სასწავლო კურსებში „ინგლისური ენა“ (A1, A2, B1, B2) მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები თითოეული სასწავლო კურსისთვის (დონეების მიხედვით);
3. სპეციალიზაციის მოდულზე დაშვების წინაპირობები დასაზუსტებელია, სასურველია დაზუსტდეს სპეციალობის მოდულის დაშვების წინაპირობები სპეციალიზაციის მოდულების მცენარეთა დაცვა და სატყეო საქმე;
4. სპეციალიზაციის მოდულში „მცენარეთა დაცვა“ სასწავლო კურსი „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ ამ სფეროს მაღალი აქტუალობიდან გამომდინარე ჩართული იყოს ძირითად სასწავლო კურსებში;
5. სპეციალიზაციის მოდულში „მცენარეთა დაცვა“ სასწავლო კურსი „მიკოლოგია“ სილაბუსში აღწერილი შინაარსიდან გამომდინარე რედაქტირდეს შესაბამისად და წარმოდგენილ იქნას სპეციალიზაციის მოდულში „მცენარეთა დაცვა“ როგორც „მიკოლოგიის საფუძვლები“ (ან სხვა მსგავსი შესაბამისი რედაქტირებით);
6. სპეციალიზაციის მოდულში „სატყეო საქმე“ სასწავლო კურსი „სატყეო ენტომოლოგია“ ამ სფეროს მაღალია აქტუალობიდან გამომდინარე წარმოდგენილი იყოს ძირითად სასწავლო კურსებში;
7. სასწავლო კურსის „ზოგადი ენტომოლოგია“ თემატიკა მაქსიმალურად ფოკუსირებული იყოს ზოგადი ენტომოლოგიის ფუნდამენტურ საკითხებზე და არა სხვა ორგანიზმებზე, რომლებიც მწერებს არ მიეკუთვნებიან
8. პროგრამის ფარგლებში სპეციალიზაციის მოდულების მიხედვით წარმოდგენილი ყველა სასწავლო კურსის სწავლება განხორციელდეს უახლესი სასწავლო სახელმძღვანელოებით, ლიტერატურით;
9. საბაკალავრო ნაშრომების შემუშავებისას თემის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებს იმ უნარების და ხედვის გამომუშავებაში, რაც მათ მისცემთ საშუალებას ნაშრომებში შესაბამისად წარმოაჩინონ კვლევის აქტუალობა და შეიმუშაონ (არაბუნდოვანი, მკვეთრი) დასკვნები.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიერ მოხდა რეკომენდაციების უმეტესობის გათვალისწინება და აუცილებელი ცვლილებების პროგრამაში შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს და ეთანხმება ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და შესაბამისად, დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ აუცილებლად მეტი ყურადრება მიექცევა სამეცნიერო საქმიანობას, რისთვისაც მზადდება საჭირო დოკუმენტები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:55
დასრულების დრო:20:00

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტების საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5.მეხუთესაკითხი: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება №206 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერების დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0131, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ, N2
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციებზე:

1. განაგრძოს მუშაობა პროგრამის გუნდმა პროგრამის ამოცანებს, პროგრამის შედეგებსა და მოდულის სწავლის შედეგებს შორის ოპტიმალური შესაბამისობის მისაღწევად, გაითვალისწინოს რა ის კვლევითი არჩევანი, რომელსაც სტუდენტებს სთავაზობს (ინგლისური ენის სწავლება და განათლების ადმინისტრირება).
2. გადაიხედოს პროგრამის გუნდის მიერ, თუ რა დონეზე შეუძლია ასეთ პროგრამას დამაკმაყოფილებლად მისცეს სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინაში მაგისტრის ხარისხის მფლობელ სტუდენტებს შესაძლებლობა განათლების სფეროში მიაღწიონ დოქტორანტურის დონის შედეგებს. მან ასევე უნდა გააღრმავოს პროგრამის ამოცანები განათლების აკადემიურ სფეროში დისციპლინის ცოდნის სრულყოფისა და საგანმანათლებლო კვლევის მეთოდების გამოყენების კუთხით.
3. განვითარდეს სასწავლო კომპონენტი კიდევ უფრო ისე, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მაღალ დონეზე საგანმანათლებლო კვლევის ჩატარების ცოდნა და უნარები. ამით კვლევის პარადიგმების, ეპისტემოლოგიური საკითხების, ფილოსოფიური საფუძვლების, აქსიოლოგიის და ეთიკის, ასევე კვლევის ფართო სპექტრის მეთოდების (რაოდენობრივი, თვისებრივი და შერეული) ტექნიკური ასპექტების კიდევ უფრო მაღალ დონეზე დამუშავება იქნება შესაძლებელი, რაც ხელს შეუწყობს მაღალი სირთულის კვლევით ექსპერტიზას და ლიდერულ თვისებებს, რის დანერგვასაც ცდილობს პროგრამა. მიღებული სტუდენტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აკადემიური წერის გაძლიერებულად უზრუნველყოფა რეკომენდებულია.
4. კიდევ უფრო განავითაროს პროგრამის გუნდმა პარტნიორობა როგორც საქართველოში არსებულ პარტნიორებთან, ასევე საზღვარგარეთ, მათ შორის პარტნიორობა ეროვნულ სააგენტებთან, რომლებიც ჩართული არიან მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაში. მართალია, პროგრამის გუნდს უკვე ნაკისრი აქვს მონიტორინგისა და განხილვის მთელი რიგი საქმიანობები, თუმცა, ზოგადი თვალსაზრისით, დამატებითი სამუშაოს განხორციელებაა საჭირო პროგრამის სასარგებლოდ, თითოეული მსგავსი ტიპის სამუშაოს შედეგების სრულად გამოსაყენებლად და დანერგვის უზრუნველყოფისთვის.
5. გაგრძელდეს ბენჩმარკინგის პროცესი შეტანილი ექვსი პროგრამით, რათა დამატებით გამოვლინდეს თუ რისი სწავლა და პრაქტიკაში დანერგვაა შესაძლებელი. უნდა აღირიცხოს თუ როგორ მიაღწია ბენჩმარკინგის პროცესმა პროგრამის გაუმჯობესებას. იმავე ტენდენციით, პროგრამის გუნდმა უფრო დეტალურად უნდა შეისწავლოს უცხოურ უნივერსიტეტებში მოქმედი მსგავსი პროგრამები, გამოავლინოს რა, თუ რამდენად შეესატყვისება და შეედრება შეთავაზებული სადოქტორო პროგრამა და სტუდენტის მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა შეასრულა ყველა რეკომენდაცია და შესაბამისად პროგრამაში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებული აქვთ და მოხდა გარკვეული ცვლილებების შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ

საბჭოს წევრმა დააზუსტა, მოხდა თუ არა ნიშნულების შემოწმება და კონკრეტულად რომელ საგნებზე.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ მოახდინეს ყველა საგნის ნიშნულის შემოწმება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:12
დასრულების დრო:20:17

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტების საფუძველზე შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსე საკითხი: შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 12 ნოემბრის N204 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამართალის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0186, კ.ქუთათელის ქ. N3
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

აცილება განაცხადა- დიმიტრი გეგენავამ
აცილების საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა თამარ ტუფინაშვილი.

მექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციებზე, კერძოდ:
1. გადაიხედოს სამართლის საბაკალავრო პროგრამის საერთაშორისო სამართლის მოდული სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის, პროგრამის მიზნების ჯეროვნად განხორციელების და სტრატეგიული გეგმების მიზნების უკეთესი რეალიზაციისათვის, კერძოდ:

ა.ა) პროგრამაში ჯეროვნად აისახოს მისი მნიშვნელობა და შესაბამისი შედეგების მიღწევისთვის და პროგრამული მიზნების განხორციელებისთვის ;
ა.ბ) შეთავაზებულ იქნეს მოდულის შიგნით (სასურველია არჩევითი კურსების სახით) საერთაშორისო საჯარო სამართლის ფუნდამენტური დარგები;
ბ) განხილულ იქნეს სწავლების ახალი მეთოდების დანერგვის შესაძლებლობა, მატერიალური რესურსების თვალსაზრისით, მათ შორის: Moodle, Massive Online Courses, ინტერაქტიული თეთრი დაფები და ა.შ.
გ) მოვიდეს „საკორპორაციო სამართლის“ სილაბუსი და მისი შინაარსი ერთმანეთთან შესაბამისობაში, ასევე განახლდეს ლიტერატურა.
წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების გასაანალიზებლად შეიკრიბა სამართლის ფაკულტეტის საბჭო დეკანის ხელმძღვანელობით. ფაკულტეტის საბჭომ განიხილა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების პროგრამაში ასახვის საკითხი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება: საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან ორი (ა.ბ) შეთავაზებულ იქნეს მოდულის შიგნით (სასურველია არჩევითი კურსების სახით) საერთაშორისო საჯარო სამართლის ფუნდამენტური დარგები; და გ) მოვიდეს „საკორპორაციო სამართლის“ სილაბუსი და მისი შინაარსი ერთმანეთთან შესაბამისობაში, ასევე განახლდეს ლიტერატურა) გათვალისწინებულ იქნა, ხოლო ორი (ა.ა) პროგრამაში ჯეროვნად აისახოს მისი მნიშვნელობა და შესაბამისი შედეგების მიღწევისთვის და პროგრამული მიზნების განხორციელებისთვის (ECTS კრედიტებში); და ბ) განხილულ იქნეს სწავლების ახალი მეთოდების დანერგვის შესაძლებლობა, მატერიალური რესურსების თვალსაზრისით, მათ შორის: Moodle, Massive Online Courses, ინტერაქტიული თეთრი დაფები და ა.შ.) არ იქნა გათვალისწინებული შესაბამისი არგუმენტირებული

დასაბუთებით. ასევე, აკადემიურმა საბჭომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაამტკიცა ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილი ცვლილებები ცალკეულ სასწავლო კურსებთან მიმართებით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ პოზიცია

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ა.ა) რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ არ იქნება გათვალისწინებული, რადგან სამართლის საბაკალავრო პროგრამაში საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობა, როგორც შესაბამისი შედეგების მიღწევის, ისე პროგრამული მიზნების განხორციელებისთვის საკმარისი სიზუსტითაა ასახული და ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა სამართლის სხვა დარგებთან. კერძოდ, პროგრამის მიზნებში გამოყოფილია, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს შესძინოს სტუდენტს სირრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, საერთაშორისო და სისხლის სამართლის დარგებში. პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრელ ექნება სიღრმისეული ცოდნა საერთაშორისო სამართლის სფეროში. ამასთან პროგრმის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებში ცოდნა და გაცნობიერების კომპონენტის შემოწმება ხდება საერთაშორისო საჯარო სამართლის დისციპლინის გავლის შედეგად, რომელიც სავალდებულო კომპონენტის სახითაა გათვალისწინებული პროგრამაში.
საგნების დამატებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია და შესაბამისად, არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა - ,,საერთაშორისო სახელმშეკრულებო სამართალი“, ,,ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი'', ,,დიპლომატიური და საკონსულო სამართალი“.
გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულადაა უზრუნველყოფილი ყველა იმ მატერიალური და ტენიკური რესურსით, რაც საჭიროა უნივერსიტეტში დანერგილი და მიმდინარე სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებისთვის. უნივერსიტეტში დანერგილი აღნიშნული მეთოდი არ მოითხოვს იმ მატერიალური რესურსების სავალდებულო წესით შეძენას, რომელიც რეკომენდაციაშია მითითებული. უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია თანამედოვე ტექნიკით, მატერიალუ-ტექნიკური ბაზით, რაც ექსპერტებმაც დაადასტურეს. ფაკულტეტის საბჭომ არ გაიაზიარა აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია.
ექსპერტთა მიერ დადგენილი დანარჩენი რეკომენდაციები დაწესებულებამ სრულიად გაიაზიარა და პროგრამაში განახორციელა აუცილებელი ცვლილებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20: 32
დასრულების დრო: 20:38

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] საფუძველზე შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

მეშვიდე საკითხი გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა